უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 34

20 14 წ. "25" 11

ქ.თბილისი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) 2014 წლის 8 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3500-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 25 ნოემბრის №11 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1.ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინფორმატიკის ბაკალავრი
	2.დაწყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი
	3.ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი
	4.მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი
	5.სპორტი	სპორტის ბაკალავრი
	6.გეოგრაფია	გეოგრაფიის ბაკალავრი
	7.ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	8.ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	9.ინგლისური ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	10.გერმანული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	11.რუსული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	12.ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
	13.საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საქმე	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
	14.ფინანსები	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
	15.ტურიზმი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
	16.ჟურნალისტიკა	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
	17.სამართალმცოდნეობა	სამართლის ბაკალავრი
	18.ფსიქოლოგია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
	19.ეკონომიკა	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
	20.საჯარო მმართველობა	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
მაგისტრატურა	1.მასწავლებელთა განათლება	განათლების მაგისტრი
	2.ქართული ლიტერატურის ისტორია	ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი
	3.ქართული სალიტერატურო ენა	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
	4.საქართველოს ისტორია	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
	5.ანგლისტიკა	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
	6.ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
	7.საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

	8.ფინანსები	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
	9.ტურიზმის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში
	10.განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი
	11.ჟურნალისტიკა	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
	12.სამოქალაქო სამართალი (მილევადი)	კერძო/ბიზნეს სამართლის მაგისტრი
	13.სისხლის სამართალი (მილევადი)	სისხლის სამართალის მაგისტრი
	14.სამართალი	სამართლის მაგისტრი

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60
2	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60

უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა *(მილევად რეჟიმში)*	მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირების დიპლომირებული სპეციალისტი	180

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	რძის გადამამუშავებელი	მეოთხე	რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

3	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
4	სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი	მეხუთე	სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120